

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
აკადემიური საბჭო

მისამართი: 6010, ქ. ბათუმი,  
ნინოშვილის ქ., №35

ტელ/ფაქსი: (+995 222) 27 17 87  
ელ. ფოსტა: [info@bsu.edu.ge](mailto:info@bsu.edu.ge)

დ ა დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა №111

კოდიფიცირებული

2015 წლის 8 ოქტომბერი,  
ქ. ბათუმი

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტისა და ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. დამტკიცდეს „ბსუ-ს ბაკალავრიატის და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ დანართი 1-ის შესაბამისად;
2. ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი „რსუ-ს პირველი და მეორე საფეხურის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2011 წლის 20 აპრილის №55 დადგენილება;
3. დადგენილება ამოქმედდეს 2015-2016 სასწავლო წლიდან, დაეგზავნოს უნივერსიტეტის ძირითად სტრუქტურულ ერთეულებსა და მართვის ორგანოებს და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე;
4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ.ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30).

აკადემიური საბჭოს სხდომის თავმჯდომარე,  
პროფესორი

გურამ ჩაგანავა

აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის N111 დადგენილების  
დანართი 1  
**კოდიფიცირებული**

*(ცვლილებები და დამატებები : ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 25 მარტის N14,  
27 მაისის N28 და 14 ივლისის N53, 2016 წლის 09 აგვისტოს N61,  
2017 წლის 05 აპრილის N20, 2017 წლის 29 ივნისის N56,  
2018 წლის 14 თებერვლის N17,  
2018 წლის 11 ოქტომბრის N114, 2019 წლის 6 მაისის N06-01/50 და  
2020 წლის 14 სექტემბრის N06-01/70 დადგენილებებით)*

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი

I. ზოგადი დებულებები

**მუხლი 1. წესის რეგულირების სფერო** *(ცვლილება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის  
09 აგვისტოს N61 დადგენილებით)*

1. წინამდებარე წესი არეგულირებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდეგში „ბსუ“ ან „უნივერსიტეტი“) საბაკალავრო/დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო/მედიცინის მიმართულებით აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების, ასევე ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამისა და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესს (ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის მოპოვება, შეჩერება, შეწყვეტა; ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ჩარიცხვა; საერთაშორისო მობილობა; სტუდენტის უფლება-მოვალეობები; მობილობა/შიდა მობილობა; სტუდენტის მიერ პროგრამის მოთხოვნების შესრულება, სწავლის შედეგის მიღწევა; სტუდენტის შეფასება და გასაჩივრების პროცედურა; კვალიფიკაციის მინიჭება).

*(ცვლილება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 14 სექტემბრის N06-01/70 დადგენილებით)*

2. სასწავლო პროცესის ელექტრონულად წარმართვის, ასევე სასწავლო პრაქტიკის, როგორც სასწავლო კომპონენტის, შესრულების რეგულაცია შესაძლებელია განისაზღვროს ბსუ-ს აკადემიური საბჭოს სხვა დადგენილებით ან/და ბსუ-ს რექტორის ბრძანებით. *(ცვლილება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 14 სექტემბრის N06-01/70 დადგენილებით)*

3. ბსუ-ს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კომპონენტის შესრულება რეგულირდება წინამდებარე წესით, გარდა იმ გამონაკლისებისა, რასაც უშუალოდ ადგენს ბსუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული „ბსუ-ს დოქტორანტურის დებულება“. *(ცვლილება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 14 სექტემბრის N06-01/70 დადგენილებით)*

II. ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის მოპოვება, შეჩერება და შეწყვეტა

**მუხლი 2. სასწავლო პროცესში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება**

*(ცვლილება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 09 აგვისტოს N61 დადგენილებით)*

1. ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 უმაღლესი განათლების საფეხურებთან ბსუ-ს სტუდენტის სტატუსთან

დაკავშირებით:

ა) **აკადემიური უმაღლესი განათლება** – უმაღლესი განათლების კურსი, რომელიც მოიცავს ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებს;

ბ) **ბსუ-ს სტუდენტი** – პირი, რომელიც „უმაღლესი განათლების შესახებ კანონითა და ბსუ-ს წესდებით განსაზღვრული წესით ჩაირიცხა ბსუ-ში ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის, დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის გასავლელად, აგრეთვე პირი, რომელიც ჩაირიცხულია უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და რომელიც ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ასრულებს სასწავლო კომპონენტის ან/და კვლევითი კომპონენტის ნაწილს ბსუ-ში;

გ) **აკადემიური ხარისხი** – კვალიფიკაცია, რომელსაც სტუდენტს აკადემიური უმაღლესი განათლების შესაბამისი საფეხურის დამთავრებისას ანიჭებს უნივერსიტეტი;

დ) **ბაკალავრიატი** – აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს შესაბამისი სპეციალობის საფუძვლების სწავლებას, რაც აუცილებელია პირის მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის და მაგისტრატურაში შემდგომი სწავლისათვის;

ე) **ბაკალავრი** – მფლობელი იმ აკადემიური ხარისხისა, რომელიც აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის პირველი საფეხურისათვის – ბაკალავრიატისათვის დადგენილი კრედიტების რაოდენობის (არანაკლებ 240)ათვისების შედეგად ენიჭება ბსუ-ს სტუდენტს;

ვ) **სამედიცინო/სტომატოლოგიური განათლების პროგრამა** – ერთსაფეხურიანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მთავრდება დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის აკადემიური ხარისხის მინიჭებით. დიპლომირებული მედიკოსის 360-კრედიტიანი ან დიპლომირებული სტომატოლოგის 300-კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამის გავლის შედეგად მინიჭებული აკადემიური ხარისხი გათანაბრებულია მაგისტრის აკადემიურ ხარისხთან.

ზ) **მაგისტრატურა** – აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მოიცავს სამეცნიერო კვლევის ელემენტებს და მიზნად ისახავს ბაკალავრის შემდგომი დონის სპეციალისტის ან მკვლევრის მომზადებას, აგრეთვე პირს ამზადებს მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის;

ვ) **მაგისტრანტი** – სტუდენტი, რომელიც სწავლობს მაგისტრატურაში;

თ) **მაგისტრი** – მფლობელი იმ აკადემიური ხარისხისა, რომელიც პირს აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურისათვის – მაგისტრატურისათვის დადგენილი კრედიტების (არანაკლებ 120)რაოდენობის ათვისების შედეგად ენიჭება;

ი) **განათლების მაგისტრი** – იმ აკადემიური ხარისხის მფლობელი, რომელიც პირს მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების და დადგენილი კრედიტების დაგროვების შედეგად ენიჭება. განათლების მაგისტრის აკადემიურმა ხარისხმა შეიძლება პირს მიაწოდოს მასწავლებლობის უფლება;

კ) **დოქტორანტურა** – აკადემიური უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა, სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების ერთობლიობა, რომელიც მიზნად ისახავს სამეცნიერო კადრის მომზადებას და მთავრდება დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებით;

ლ) **ბსუ-ს დოქტორანტი** – პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობითა და ბსუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად ჩაირიცხა და სწავლობს ბსუ-ს სადოქტორო პროგრამაზე;

მ) **გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტი** – საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ან უცხო ქვეყნის კანონმდებლობის

შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტი, რომელიც გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში აგროვებს კრედიტების განსაზღვრულ რაოდენობას პარტნიორ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;

ნ) **მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა** - შესაბამის სტანდარტზე დაყრდნობით შემუშავებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა.

ო) **სტუდენტის სტატუსის შეჩერება** - დაწესებულებისა და სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან განთავისუფლება სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარეშე;

1.2 უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შესრულებასთან დაკავშირებით:

ა) **აკადემიური თავისუფლება** - სტუდენტის უფლება, დამოუკიდებლად განახორციელოს სწავლება, სამეცნიერო კვლევა და სწავლა;

ბ) **საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი)** - უმაღლესი განათლების კვალიფიკაციის მისაღებად აუცილებელი სასწავლო კურსების/მოდულების ერთობლიობა, რომელშიც მოცემულია პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, სასწავლო კურსები/მოდულები შესაბამისი კრედიტებით, სტუდენტთა შეფასების სისტემა და სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებები;

გ) **სასწავლო კურსის პროგრამა (სილაბუსი)** - დოკუმენტი, რომელიც იძლევა ინფორმაციას სასწავლო კურსის/მოდულის მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტების, შინაარსის, სწავლებისა და სწავლის მეთოდების, შეფასების კრიტერიუმების შესახებ

დ) **რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამა** - ბსუ-ს პროგრამები: სამართლის, მედიცინისა და პედაგოგიური;

ე) **გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამა** - საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ხორციელდება საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასა და უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას შორის დადებული სტუდენტთა გაცვლის შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე და მიზნად ისახავს გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტის მიერ კრედიტების განსაზღვრული რაოდენობის დაგროვებას პარტნიორ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;

ვ) **მობილობა** - სტუდენტთა თავისუფალი გადაადგილება სწავლის, სწავლებისა და კვლევის პროცესებში მონაწილეობისათვის როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში, რასაც თან სდევს სწავლის პერიოდში მიღებული განათლების, კრედიტების ან კვალიფიკაციის აღიარება;

ზ) **შიდა მობილობა** - სტუდენტთა თავისუფალი გადაადგილება ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამებს შორის (ცხადდება წელიწადში ორჯერ, ამ წესისა და ბსუ-ს რექტორის ბრძანებით დადგენილი წესით);

თ) **განათლების აღიარება** - საქართველოს ან უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებულ კვალიფიკაციას ან ამავე დაწესებულებებში სწავლის პერიოდში მიღებულ განათლებას (კრედიტებს) აღიარებს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მიღებული კრედიტების აღიარება ბსუ-ში ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული კრედიტების აღიარების წესით. *(გვლილება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის N56 დადგენილებით)*

ი) **მოდული** - სწავლების დამოუკიდებელი თანმიმდევრული ბლოკი, რომელიც აერთიანებს მონათესავე საგნებს. მოდულში განსაზღვრულია საგანთა ურთიერთკავშირები და თანმიმდევრობა. რამდენიმე მოდული შეადგენს სასწავლო გეგმას;

კ) **კრედიტი** - ერთეული, რომელიც გამოხატავს სტუდენტისათვის საჭირო სასწავლო დატვირთვას და რომლის მიღებაც შესაძლებელია სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ;

ლ) **სწავლის შედეგები** - საგანმანათლებლო პროგრამის, მოდულის, სასწავლო კურსის დასრულების შედეგად სტუდენტის მიერ მიღებული ცოდნა და შეძენილი უნარები.

მ) კვალიფიკაცია – სწავლის შედეგი, რომელიც მიიღწევა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევათ და დასტურდება ბსუ-ს მიერ გაცემული დიპლომით;

ნ) დიპლომი – ბსუ-ს შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს მიერ მინიჭებული აკადემიური ხარისხის (კვალიფიკაციის) დამადასტურებელი მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტი (გაიცემა ბსუ-ს რექტორის ბრძანების საფუძველზე). *(ცვლილება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის N56 დადგენილებით)*

ო) დიპლომის სტანდარტული დანართი – გაიცემა დიპლომთან ერთად, სტუდენტის მიერ მიღებული განათლების შინაარსის და მისთვის მინიჭებული კვალიფიკაციის დასადასტურებლად, აგრეთვე სტუდენტის მიერ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის გავლის შედეგად მიღებული განათლების შინაარსის და საქართველოს ან/და უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ მისთვის ერთობლივად მინიჭებული კვალიფიკაციის დასადასტურებლად. *(ცვლილება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის N56 დადგენილებით)*

პ) პლაგიატი - აკადემიური არაკეთილსინდისიერება (პლაგიატის ფორმები განისაზღვრება უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსით). *(დამატება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის N56 დადგენილებით).*

ჟ) ანტიპლაგის პროგრამა - პლაგიატის გამოვლენის (დეტექტირების) ელექტრონული სისტემა (Turnitin), რომელიც ინტეგრირებულია ელექტრონული სწავლების Moodle-ის პლატფორმაზე (ერზიმუს + საგრანტო პროექტის - INTEGRITY – 2017585841-EPP-1-2017-1-GE-EPPKA2-CBHE-SP-Academic Integrity for Quality Teaching and Learning in Higher Education Institutions in Georgia“ ფარგლებში შემენილი პროგრამა). *(დამატება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 06 მაისის N06-01/50 დადგენილებით).*

### **მუხლი 3. სტუდენტის სტატუსის შეჩერება**

*(ცვლილება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის N56 დადგენილებით)*

1. უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:

ა) ადმინისტრაციული (სწავლის საფასურის გადახდა) ან/და აკადემიური რეგისტრაციის (სასწავლო პროცესის ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაციის) გაუვლელია;

ბ) პირადი განცხადება (მიზეზის მითითების გარეშე);

გ) ორსულობა, მშობიარობა, ბავშვის მოვლა ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება;

დ) უცხო ქვეყანაში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა (გარდა გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლისა).

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ -„დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე საფუძველით უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის შეჩერების მოთხოვნით სტუდენტმა განცხადებით უნდა მიმართოს რექტორს შესაბამისი სემესტრის სასწავლო პროცესის დაწყებიდან არა უგვიანეს 15 დღისა. სტუდენტის ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის ან სხვა შემთხვევაში (ფორსმაჟორული გარემოება, პანდემია, ტექნიკური ან/და სხვა ობიექტური გარემოება), როცა სტუდენტის სასწავლო პროცესში მონაწილეობის შეუძლებლობა დასტურდება (სტუდენტის განცხადებით, ცნობით ან სხვა დოკუმენტით), გამონაკლისი შესაძლოა დაიშვას დეკანის წარდგინების საფუძველზე მომზადებული რექტორის ბრძანებით. სტუდენტს, მისი განცხადების (მიზეზის მითითების გარეშე) საფუძველზე, ბსუ-ს სტუდენტის სტატუსი შეიძლება შეუჩერდეს არანაკლებ 1 წლის ვადით (სტატუსის შეჩერების შესაბამისი სემესტრის - გაზაფხულის ან შემოდგომის - დაწყებამდე), იმის გათვალისწინებით, რომ სტატუსის შეჩერებიდან 5 წლის გასვლის შემდეგ, პირს უწყდება სტუდენტის სტატუსი. დამატებითი სემესტრის/წლის ბსუ-ს სტუდენტი ვერ სარგებლობს პირადი განცხადების საფუძველზე სტუდენტის სტატუსის შეჩერების უფლებით. *(ცვლილება აკადემიური საბჭოს 2018 წლის 11 ოქტომბრის N114 დადგენილებით; ცვლილება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 14 სექტემბრის N06-01/70 დადგენილებით)*

21. პირადი განცხადების საფუძველზე სტატუსშეჩერებული (ე.წ. „აკადემიური შვებულებაში“ მყოფი ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ან უცხოეთში სწავლის გამო სტატუსშეჩერებული) ბსუ-ს სტუდენტის სასწავლო პროცესში დაბრუნების (სტუდენტის სტატუსის გააქტიურების/სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ რექტორის ბრძანების ძალადაკარგულად ცნობის) შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანება გამოიცემა ამ სტუდენტის მიერ, შესაბამისი სემესტრის (გაზაფხულის ან შემოდგომის, რომელშიც შეუჩერდა) დაწყებიდან არაუგვიანეს 15 დღისა მის წარმოდგენილი განცხადების საფუძველზე. სტუდენტის დასაბუთებული განცხადებისა და დეკანის დასაბუთებული წარდგინების საფუძველზე შესაძლებელია ბსუ-ს რექტორის ბრძანება გამოიცეს შესაბამისი სასწავლო წლის/სემესტრის დაწყებიდან არაუგვიანეს 21-ე დღისა. **(დამატება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 14 სექტემბრის N06-01/70 დადგენილებით)**

22. სტატუსშეჩერებული ბსუ-ს სტუდენტის (გარდა ადმინისტრაციული/ფინანსური დავალიანების ან აკადემიური რეგისტრაციის გაუვლელობის გამო სტატუსშეჩერებულისა) სასწავლო პროცესში შიდა მობილობის გავლის გარეშე დაბრუნება დასაშვებია შესაბამისი სემესტრიდან (გაზაფხულის ან შემოდგომის), რომელშიც პირს შეუჩერდა ბსუ-ს სტუდენტის სტატუსი. **(დამატება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 14 სექტემბრის N06-01/70 დადგენილებით)**

23. ადმინისტრაციული (ფინანსური დავალიანების) ან აკადემიური რეგისტრაციის გაუვლელობის გამო სტატუსშეჩერებული სტუდენტი, ასევე სხვა საფუძველით სტატუსშეჩერებული პირი, რომელსაც სურვილი აქვს სასწავლო პროცესში დაბრუნდეს განსხვავებულ სემესტრში (და არა იმ სემესტრში, რომელშიც შეუჩერდა სტატუსი), ვალდებულია ბსუ-ს სასწავლო პროცესში დაბრუნების მიზნით მონაწილეობა მიიღოს ბსუ-ს შიდა მობილობაში. **(დამატება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 14 სექტემბრის N06-01/70 დადგენილებით)**

24. სტატუსშეჩერებული ბსუ-ს სტუდენტის შიდა მობილობის გარეშე სასწავლო პროცესში დაბრუნების შემთხვევაში შესაბამისი ფაკულტეტის კრედიტების აღიარების კომისიამ უნდა უზრუნველყოს ამ სტუდენტის მიერ სასწავლო პროცესში დაბრუნებამდე გავლილი სასწავლო კურსების მიმდინარე საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადობის (კრედიტების აღიარების) დასკვნის შედგენა და სტუდენტისათვის სწავლის სემესტრის განსაზღვრა (ასეთი საჭიროების შემთხვევაში). **(დამატება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 14 სექტემბრის N06-01/70 დადგენილებით)**

25. ბსუ-ს სასწავლო პროცესში დაბრუნების ან სტუდენტის სტატუსის შეჩერების წინამდებარე მუხლით დადგენილი წესისაგან გამონაკლისი შესაძლოა დაიშვას სტუდენტის ინტერესების გათვალისწინებით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გამოცემული ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დასაბუთებული დადგენილებით ან/და ბსუ-ს რექტორის დასაბუთებული ბრძანებით. **(დამატება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 14 სექტემბრის N06-01/70 დადგენილებით)**

3. შესაბამისი სემესტრში აკადემიური რეგისტრაციის ვადის ამოწურვის შემდეგ, სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული მართვის სისტემისა და დეკანის ოფისიდან მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, გამოიცემა რექტორის ბრძანება აკადემიური რეგისტრაციის გაუვლელობის გამო შესაბამის პირთათვის ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ, რომელიც განთავსდება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე საჯარო გამოცხადების მიზნით. აღნიშნული ბრძანების გამოცემა გამორიცხავს სტუდენტისათვის შესაბამისი სემესტრის სწავლის საფასურის დარიცხვას.

4. შესაბამის სემესტრში (შესაბამის ეტაპზე) ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელობის - სწავლის საფასურის გადაუხდელობის გამო ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ რექტორის ბრძანება გამოიცემა შესაბამის წელს უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით განსაზღვრული ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადებისა და უნივერსიტეტში მოქმედი სწავლის საფასურის გადახდის წესის მიხედვით.

5. უნივერსიტეტის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ვადის გასვლის გამო შესაძლებელია ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით ამ პროგრამის სტუდენტებისათვის რექტორის ბრძანებით გამოცხადდეს რიგგარეშე შიდა მობილობა, რათა ბსუ-ს სტუდენტმა, სურვილის შემთხვევაში, ისარგებლოს ბსუ-ს აკრედიტირებულ სხვა პროგრამაზე შიდა მობილობის უფლებით. *(დამატება აკადემიური საბჭოს 2018 წლის 11 ოქტომბრის N114 დადგენილებით)*

#### **მუხლი 4. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა**

1. უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:

*(ცვლილება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის N56 დადგენილებით)*

- ა) პირადი განცხადება;
- ბ) შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება;
- გ) აკადემიური უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურზე საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობა;
- დ) ერთიანი სასწავლო კურსის სამჯერ მოსმენა და კრედიტის ვერ მიღება;
- ე) უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან 5-წლიანი ვადის გასვლა, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა;
- ვ) უნივერსიტეტს შინაგანაწესით, ეთიკის კოდექსით და სტუდენტთან დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევა;
- ზ) გარდაცვალება.

2. შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ვადის ამოწურვის შედეგად, იმ სტუდენტთა მიმართ, რომელთაც დარჩება აუთვისებელი კრედიტები (დავალიანება) შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე იწყება ადმინისტრაციული წარმოება მათთვის ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე სამართლებრივი აქტის გამოსაცემად. სტუდენტებს, რომელთა დავალიანებული კრედიტების რაოდენობა აღემატება 75-ს, უწყდებათ სტუდენტის სტატუსი, ხოლო სხვა დანარჩენთა მიმართ, თუკი წარმოების პროცესში მომართავენ ბსუ-ს დამატებითი სასწავლო წლის განმავლობაში აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლის უფლების მინიჭების თხოვნით, ბსუ-ს რექტორის ბრძანებით გაუხანგრძლივდებათ ამ ვადით სწავლების ვადა.

3. დამატებითი სასწავლო წლის სტუდენტი ვერ სარგებლობს ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერების უფლებით.

4. ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესისაგან გამონაკლისი შესაძლებელია დადგინდეს ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით.

5. პროგრამის გაუქმების შემთხვევაში უნივერსიტეტი სტუდენტს სთავაზობს ალტერნატიულ პროგრამას ამ სტუდენტის მიერ გავლილი პროგრამის ფარგლებში ათვისებული კრედიტების აღიარების პირობით.

6. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგები დგება ბრძანების გამოცემიდან თორმეტი თვის შემდეგ. დროის ამ მონაკვეთში სტუდენტის სტატუსი ითვლება შეჩერებულად და სტუდენტი უფლებამოსილია ისარგებლოს მობილობის უფლებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი შეუთავსებელია მიმდები დაწესებულების წესდებასთან. *(დამატება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 09 აგვისტოს N61 დადგენილებით)*

7. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, მისი ხელახლა მოპოვება დასაშვებია კანონმდებლობით დადგენილი წესით. *(დამატება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 09 აგვისტოს N61 დადგენილებით)*

### **მუხლის 5. მობილობა**

1. ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის მოპოვება, გარდა ამ თავით გათვალისწინებული საფუძვლებისა, შესაძლებელია სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებიდან გადმოსვლის შედეგად (მობილობა), რაც ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

2. ბსუ-ს სტუდენტი უფლებამოსილია ბსუ-ში ერთი საგანმანათლებლო ერთეულიდან (ფაკულტეტიდან)/პროგრამიდან გადავიდეს სხვა საგანმანათლებლო ერთეულზე (ფაკულტეტზე)/პროგრამაზე (შიდა მობილობა). აღნიშნული უფლებით ბსუ-ს სტუდენტმა შესაძლებელი ისარგებლოს ბსუ-ში სწავლების პირველი სემესტრის შემდეგ, ბსუ-ს რექტორის ბრძანებით დადგენილ შიდა მობილობის პერიოდში.

3. შიდა მობილობაში მონაწილეობის უფლება აქვს ასევე ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერებულ პირებს.

4. მობილობის (მათ შორის შიდა მობილობის) ვადები და განხორციელების წესი განისაზღვრება ბსუ-ს რექტორის ბრძანებით.

### **მუხლი 5<sup>1</sup>. საერთაშორისო მობილობაში მონაწილეობა *(დამატება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 14 სექტემბრის N06-01/70 დადგენილებით)***

1. ბსუ-ს სტუდენტი უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს ბსუ-სა და უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებასთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე შემუშავებულ გაცვლით საგანმანათლებლო პროგრამაში (შემდეგში „საერთაშორისო მობილობა“), ბსუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული „საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების ადმინისტრირების წესისა“ და ბსუ-ს რექტორის შესაბამისი ბრძანების მოთხოვნათა დაცვით.

2. ბსუ-ს გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის (პროექტის) მონაწილე ბსუ-ს სტუდენტის საერთაშორისო მობილობის სემესტრის დასაწყისში შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე გამოიცემა ბსუ-ს რექტორის ბრძანება სტუდენტის უცხო ქვეყანაში/უნივერსიტეტში გარკვეული ვადით სასწავლებლად გამგზავრების თაობაზე.

3. სტუდენტი ვალდებულია წარუდგინოს ბსუ-ს შესაბამისი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს ბსუ-ს და მიმღები უნივერსიტეტის უფლებამოსილი პირების მიერ ხელმოწერილი სტუდენტის სასწავლო ხელშეკრულების (ე.წ. „learning agreement“) ასლი.

4. სტუდენტის სასწავლო ხელშეკრულების (ე.წ. „learning agreement“) ასლს შესაბამისი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი (ფაკულტეტის დეკანის ვიზირებით), ელექტრონული საქმისწარმოების საშუალებით წარუდგენს ბსუ-ს რექტორს და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს (შემდეგში ეგზავნება სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტს და საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტს).

5. საერთაშორისო მობილობაში მონაწილეობის პერიოდში ბსუ-ს სტუდენტს არ უჩერდება სტუდენტის სტატუსი. ამ პერიოდში სტუდენტისათვის აკადემიური რეგისტრაცია გულისხმობს სასწავლო კურსებზე დარეგისტრირებას, უცხო ქვეყნის პარტნიორ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ამ ქვეყანაში და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში დადგენილი წესით. მობილობის პერიოდში სტუდენტი სწავლას აგრძელებს ამ ქვეყნის კანონმდებლობით დადგენილი წესითა და უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების ბსუ-სთან გაფორმებული ხელშეკრულებით (მემორანდუმით) განსაზღვრული პირობებით.

6. საერთაშორისო მობილობიდან დაბრუნების შემდეგ ბსუ-ს სტუდენტმა და ბსუ-ს შესაბამისმა სტრუქტურულმა ერთეულმა (მათ შორის შესაბამისი ფაკულტეტის დასაქმებულმა) უნდა შეასრულოს ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებებით დამტკიცებული წინამდებარე წესით, „საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების ადმინისტრირების წესით“ (2019 წლის N06-01/89 დადგენილება) და „უცხოეთში ათვისებული კრედიტების აღიარების წესით“ (2017 წლის N55 დადგენილება) გათვალისწინებული პროცედურა, რათა გამოიცეს სტუდენტის საერთაშორისო მობილობიდან ბსუ-ს სასწავლო პროცესში დაბრუნების შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანება.

7. მობილობის პერიოდის აკადემიური რეგისტრაციის (სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების რეგისტრაციის) შედეგები ბსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში აისახება სტუდენტის ბსუ-ს სასწავლო პროცესში დაბრუნების შემდეგ, სტუდენტის მიერ საერთაშორისო მობილობის პერიოდში ათვისებული სასწავლო კურსების (კრედიტების) აღიარებისა და ბსუ-ში სწავლის სემესტრის განსაზღვრის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანების საფუძველზე.

**მუხლი 5<sup>2</sup>. ერთიანი ეროვნული/სამაგისტრო გამოცდის ჩაბარების გარეშე ბსუ-ში ჩარიცხვა და სასწავლო პროცესი (დამატება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 14 სექტემბრის N06-01/70 დადგენილებით)**

1. ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე ბსუ-ში ჩარიცხვის უფლებას აბიტურიენტები/მაგისტრანტობის კანდიდატი/სტუდენტები მოიპოვებენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის N224/ნ ბრძანების, „ბსუ-ში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების ჩარიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 1 მარტის N34 დადგენილების, „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველ პირებთან გასაუბრების ჩასატარებლად გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 12 ივლისის N01-08/85 ბრძანებისა და წინამდებარე წესით გათვალისწინებული პროცედურების დაცვით.

2. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს (შემდეგში „სამინისტრო“) ბრძანების შესაბამისად ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე ბსუ-ში ჩარიცხვის უფლებამოპოვებული პირი უფლებამოსილია სამინისტროს ბრძანების გამოცემიდან 1 წლის განმავლობაში ჩაირიცხოს და დაიწიოს სწავლა ბსუ-ში ისე, რომ შესაძლებელი იყოს სწავლის შედეგების მიღწევა (როგორც წესი, ბრძანება უნდა გამოიცეს შესაბამისი სასწავლო წლის (სემესტრის) დაწყებამდე. უფლებამოპოვებული პირის დასაბუთებული განცხადებისა და ფაკულტეტის დეკანის დასაბუთებული სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე შესაძლებელია ამ პირთან გაფორმდეს ხელშეკრულება და ბსუ-ში ჩარიცხვის შესახებ ბსუ-ს რექტორის აქტი გამოიცეს სასწავლო წლის (სემესტრის) დაწყებიდან არაუგვიანეს მე-7 კვირისა (შუალედური გამოცდის კვირის დაწყებამდე).

3. ბსუ-ში ჩარიცხვის უფლებამოპოვებული პირი ვალდებულია სამინისტროს ბრძანების გაცნობის შემდეგ შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის ოფისიდან მიღებული ინფორმაციის/კონსულტაციის (აკადემიური კალენდარის, აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაციის, სასწავლო კურსების და სხვა) საფუძველზე წარმოადგინოს დასაბუთებული განცხადება ბსუ-ში ჩარიცხვის შესახებ, რომელშიც უნდა მიუთითოს კონკრეტული სასწავლო წელი (სემესტრი), საიდანაც შეძლებს სასწავლო პროცესში ჩართვას.

4. შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის ოფისი უფლებამოსილია გააფორმოს ხელშეკრულება ბსუ-ში ჩარიცხვის უფლებამოპოვებულ პირთან მას შემდეგ, რაც წარმოდგენილი იქნება:

ა) უფლებამოპოვებული პირის განცხადება ჩარიცხვის სასწავლო წლის (სემესტრის) მითითებით, მისი ბსუ-ში ჩარიცხვის უფლების მოპოვების შესახებ სამინისტროს ბრძანების გამოცემის შემდეგ;

ბ) პირადი საქმის გახსნისათვის საჭირო დოკუმენტაცია (პირადობის მოწმობა/პასპორტი, სწავლის საფასურის გადახდის ქვითარი, განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების კანონმდებლობის შესაბამისად დამოწმებული ასლები და სხვა, ბსუ-ს საქმისწარმოების ინსტრუქციით ან/და კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტაცია);

გ) „ბსუ-ს სწავლის საფასურის გადახდის წესის“ შესაბამისად ამ პირის სწავლის საფასურის გადახდის შესახებ საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტიდან დადასტურებული ინფორმაცია.

5. ერთიანი ეროვნული/სამაგისტრო გამოცდის ჩაბარების გარეშე ბსუ-ში ჩარიცხვის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანება გამოიცემა ბსუ-ში ჩარიცხვის უფლებამოპოვებულ პირთან, წინამდებარე მუხლის მოთხოვნათა დაცვით, ხელშეკრულების გაფორმების შესახებ შესაბამისი ფაკულტეტის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე.

6. ერთიანი ეროვნული გამოცდის ჩაბარების გარეშე ბსუ-ს უცხოენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანება გამოიცემა და სასწავლო პროცესი (აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაცია, სტუდენტის სტატუსის შეჩერება/შეწყვეტა და სხვა) წარიმართება საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობით, წინამდებარე წესით, დაინტერესებულ პირთა ბსუ-ში ჩარიცხვის მიზნით მოზიდვის თაობაზე გაფორმებული შესაბამისი მემორანდუმის პირობების, სწავლის საფასურის გადახდის წესისა და სტუდენტთან გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად.

### თავი III

#### სტუდენტის უფლებები და ვალდებულებები

##### მუხლი 6. სტუდენტის უფლებები

სტუდენტს უფლება აქვს:

ა) მიიღოს საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი და ხარისხიანი საგანმანათლებლო მომსახურება, ასევე მონაწილეობა მიიღოს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში;

ბ) უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით ისარგებლოს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ბიბლიოთეკით, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;

გ) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და ბსუ-ს მარეგულირებელი ნორმების შესაბამისად შეიწყვიტოს ან შეიჩეროს სტუდენტის სტატუსი, ისარგებლოს მობილობით/შიდა მობილობით;

დ) საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით აირჩიოს ან/და არჩეულ იქნეს სტუდენტურ თვითმმართველობაში და უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მართვის ორგანოებში;

ე) მიიღოს კონსულტაცია ბსუ-ს უფლებამოსილი პირისგან საგანმანათლებლო პროგრამების, სილაბუსების, სასწავლო კურსების, გამოცდების ჩატარების და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სხვა საკითხების თაობაზე;

ვ) მოითხოვოს ცოდნის სამართლიანი შეფასება და დადგენილი წესით გაასაჩივროს გამოცდების შედეგები.

### **მუხლი 7. სტუდენტის ვალდებულებები**

სტუდენტი ვალდებულია:

ა) შეასრულოს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნები და ამ მიზნით, დადგენილ ვადაში გაიაროს აკადემიური რეგისტრაცია (დაარეგისტრიროს სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები) და შეასრულოს შესაბამისი სილაბუსებით გათვალისწინებული სამუშაო;

ბ) სარგებლობისას გაუფრთხილდეს უნივერსიტეტის ქონებას, შეინარჩუნოს მისი ხარისხობრივი და რაოდენობრივი მდგომარეობა;

გ) დადგენილ ვადაში გადაიხადოს ბსუ-ში სწავლის საფასური (გაიაროს ადმინისტრაციული რეგისტრაცია);

დ) სისტემატიურად ისარგებლოს „სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემით, რომლის საშუალებითაც მიეწოდება მას უნივერსიტეტისაგან გაგზავნილი შეტყობინებები ან/და ინფორმაცია შესაბამისი სამართლებრივი აქტების გამოცემის თაობაზე;

ე) გაეცნოს უნივერსიტეტის სამართლებრივ აქტებს (განთავსდება უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტის საინფორმაციო დაფაზე/ სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში/ კანცელარიასთან არსებულ საინფორმაციო დაფაზე/ უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე ([www.bsu.edu.ge](http://www.bsu.edu.ge)) ან/და უნივერსიტეტის გაზეთში „ბათუმის უნივერსიტეტი“)

ვ) ჯეროვნად შეასრულოს უნივერსიტეტის აქტებით, მოქმედი კანონმდებლობითა და სტუდენტთან გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებები (ხელშეკრულების ფორმა მტკიცდება ბსუ-ს რექტორის ბრძანებით).

## **თავი IV**

### **სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნების შესრულების წესი**

#### **მუხლი 8. სასწავლო წელი**

1. ბსუ-ში სასწავლო წლისა და სემესტრების დაწყებისა და დასრულების, სასწავლო წლის შეუფერხებლად წარმართვისთვის მოსამზადებელი სამუშაოების შესრულების, ასევე აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადები განისაზღვრება ბსუ-ს რექტორის ბრძანებით და ქვეყნდება ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე. *(ცვლილება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 05 აპრილის N20 დადგენილებით)*

2. სასწავლო წელი ორსემესტრიანია. თითოეული სემესტრი მოიცავს 19 კვირას, საიდანაც: *(ცვლილება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 09 აგვისტოს N61 დადგენილებით)*  
*(ცვლილება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 14 სექტემბრის N06-01/70 დადგენილებით)*

ა) 15 კვირა ეთმობა სტუდენტთან საკონტაქტო სამუშაოს (სალექციო/ჯგუფში მუშაობა/ პრაქტიკული ან/და ლაბორატორიული მეცადინეობა, საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობა), მათ შორის ერთი კვირა - შუალედურ გამოცდებს;

ბ) 3 კვირა – ძირითად საგამოცდო სესიას;

გ) 1 კვირა – დამატებით საგამოცდო სესიას.

3. სასწავლო პროცესის საჭიროების შემთხვევაში აკადემიური საბჭო უფლებამოსილია განსაზღვროს სააუდიტორიო მუშაობისათვის კვირათა განსხვავებული რაოდენობა.

## მუხლი 9. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულება

1. ბსუ-ში სასწავლო პროცესი ხორციელდება დასწრებული სწავლების ფორმით ან ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის შესაბამისად. ინდივიდუალური სასწავლო პროგრამა გულისხმობს სტუდენტის /უნივერსიტეტის ინტერესებისა და აკადემიური მომზადების დონის შესაბამისად, შესაბამისი გარემოებების არსებობის შემთხვევაში შედგენილი სასწავლო გეგმის შინაარსს, მოცულობასა და ათვისების წესს. იგი შეიძლება შემუშავდეს როგორც სრული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, ასევე ცალკეული სასწავლო კურსებისათვის სემესტრის დაწყებამდე არა უგვიანეს 2 კვირისა. სტუდენტის ინდივიდუალურ სასწავლო პროგრამას განიხილავს და ამტკიცებს აკადემიური საბჭო ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით.

1<sup>1</sup>. მაგისტრატურის და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში დასაშვებია სწავლება-სწავლის პროცესის არასრული დატვირთვით განხორციელება. სტუდენტის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, საგანმანათლებლო პროგრამის არასრული დატვირთვით განხორციელების შესახებ გადაწყვეტილებას ღებულობს ფაკულტეტის საბჭო. *(დამატება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 05 აპრილის N20 დადგენილებით).*

2. სტუდენტის სასწავლო საქმიანობის შესაფასებლად გამოიყენება კრედიტი - ერთეული, რომელიც გამოხატავს სტუდენტის მიერ საგნის ასათვისებლად შესასრულებელი სამუშაოს მოცულობას გამოხატულს დროის ერთეულში - საათებში. ერთი კრედიტი მოიცავს 25 ასტრონომიულ საათს, საიდანაც არა უმეტეს 10 საათისა არის საკონტაქტო, ხოლო დანარჩენი - დამოუკიდებელი სამუშაო (ცალკეულ სპეციალობათა სპეციფიკიდან გამომდინარე, დასაშვებია კრედიტში საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების განსხვავებული თანაფარდობა).

3. სტუდენტის სავალდებულო დატვირთვა ერთი სასწავლო წლის განმავლობაში მოიცავს 60 კრედიტს. დასაშვებია სასწავლო წლის განმავლობაში არაუმეტეს 75 კრედიტის დარეგისტრირება. მაგისტრატურის და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის არასრული დატვირთვით განხორციელების შემთხვევაში ერთი აკადემიური წელი მოიცავს საშუალოდ 30 (ECTS) კრედიტს. *(ცვლილება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 05 აპრილის N20 დადგენილებით)*

4. კრედიტების განაწილება ხდება საგანმანათლებლო პროგრამის ყველა კომპონენტს შორის (როგორცაა მოდული, სასწავლო კურსი, პრაქტიკა, საბაკალავრო /სამაგისტრო ნაშრომი დასხვ.).

5. სტუდენტის აკადემიური დატვირთვა მოიცავს:

ა) დარეგისტრირებულ სავალდებულო და არჩევით კურსებზე (ლექციებზე) დასწრებას, სამუშაო ჯგუფში მუშაობას, პრაქტიკულ ან/და ლაბორატორიულ მეცადინეობას;

ბ) დამოუკიდებელ მეცადინეობას;

გ) სასწავლო, სამეცნიერო, შემოქმედებითან საწარმოო პრაქტიკას;

დ) გამოცდების მომზადება-ჩაბარებას;

ე) სასწავლო-სამეცნიერო(მოხსენება კონფერენციაზე, სამეცნიერო სტატია, საბაკალავრო, სამაგისტრო, სასემინარო)ნაშრომზე მუშაობას;

ვ) ბსუ-ს კლინიკაში ან ლაბორატორიაში მუშაობას;

ზ) შემოქმედებით პროექტზე მუშაობას;

6. სასწავლო კურსი (საგანი) არის ერთსემესტრიანი. კონკრეტული სასწავლო კურსის/მოდულის გეგმით გათვალისწინებული კრედიტების ადების პირობები განისაზღვრება სილაბუსში, რომელიც წინასწარ ცნობილი და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის.

7. საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნების შესრულების მიზნით ბსუ-ს სტუდენტი სასწავლო წლის/სემესტრის დასკვნითი საგამოცდო სესიის დასრულების შემდეგ გაივლის მომდევნო სასწავლო წლის/სემესტრის წინასწარ აკადემიურ რეგისტრაციას, რაც გულისხმობს

სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში სტუდენტისათვის ძირითადი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების გავლაზე ვალდებულების აღებას. სტუდენტი უფლებამოსილია სტუდენტური პორტალის მეშვეობით წარმოდგენილი დასაბუთებული განცხადებით მხოლოდ ერთხელ, შესაბამისი სემესტრის დაწყებამდე 2 კვირის ვადაში, მოითხოვოს აკადემიური რეგისტრაციის მონაცემებში ცვლილებების შეტანა. **(ცვლილება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 05 აპრილის N20 დადგენილებით) (ცვლილება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 14 სექტემბრის N06-01/70 დადგენილებით)**

8. ბსუ-ს სტუდენტი (გარდა რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტისა) უფლებამოსილია აირჩიოს დამატებითი საგანმანათლებლო პროგრამა (არანაკლებ 30 და არაუმეტეს 60 კრედიტის მოცულობით) და სასწავლო წლის განმავლობაში ასათვისებელი კრედიტების ზღვრული ოდენობის (75 კრედიტი) გათვალისწინებით, სასწავლო პროცესის ელექტრონულ სისტემაში დაარეგისტრიროს შესაბამისი სასწავლო კურსები (გაიაროს აკადემიური რეგისტრაცია), არაუგვიანეს სწავლების მე-4 სემესტრისა, ძირითადი საგამოცდო სესიის დასრულებისთანავე. სტუდენტის მიერ არჩეული დამატებითი პროგრამის შეცვლა ან რეგისტრაციის გაუქმება (შესაბამისად, მის ნაცვლად არჩევითი სასწავლო კურსების რეგისტრაცია) დასაშვებია სასწავლო სემესტრის დაწყებამდე არაუგვიანეს 2 კვირის ვადაში. **(ცვლილება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 27 მაისის N28 დადგენილებით) (ცვლილება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 14 სექტემბრის N06-01/70 დადგენილებით)**

8<sup>1</sup>. ბსუ-ს სტუდენტი, სასწავლო სემესტრის დაწყებამდე არაუგვიანეს 2 კვირისა, სასწავლო წლის განმავლობაში ასათვისებელი კრედიტების ზღვრული ოდენობის გათვალისწინებით, უფლებამოსილია: **(დამატება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 14 სექტემბრის N06-01/70 დადგენილებით)**

ა) არჩევითი სასწავლო კურსი/მოდული, რომელიც აირჩია და გაიარა წინა სემესტრში, მაგრამ ჩაიჭრა, შეცვალოს სხვა არჩევითი სასწავლო კურსით/მოდულით (იმავე კრედიტით);  
ბ) შეფასების გაუმჯობესების მიზნით ხელახლა დაარეგისტრიროს და ისწავლოს იგივე სასწავლო კურსი, ასეთ შემთხვევაში სტუდენტს საბოლოო შეფასებად უფიქსირდება უკეთესი შედეგი.

9. სტუდენტს, უფლება არ აქვს დაარეგისტრიროს სასწავლო კურსი/მოდული, თუკი მისი შესწავლის წინაპირობაა კურსი/მოდული, რომელშიც ექნება უარყოფითი „(F) ჩაიჭრა“ შეფასება, ხოლო მე-4 სემესტრის მაგისტრანტი, რომელსაც აქვს აკადემიური დავალიანება სასწავლო კომპონენტის სახით, უფლებამოსილია მიმდინარე სემესტრში დაარეგისტრიროს იგი კვლევით კომპონენტთან (სამაგისტრო ნაშრომის შესრულება) ერთად იმის გათვალისწინებით, რომ ერთ სასწავლო წელში ათვისებული კრედიტების რაოდენობა არ აღემატებოდეს 75 კრედიტს. ასეთ შემთხვევაში მაგისტრანტი უფლებამოსილია გაიაროს სამაგისტრო ნაშრომის აპრობაცია, თუმცა სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე მისი დაშვება განისაზღვრება მას შემდეგ, როცა სრულად ექნება შესრულებული სასწავლო კომპონენტი.

10. სასწავლო კურსში/მოდულში „(F) ჩაიჭრა“ შეფასების მქონე სტუდენტი ვალდებულია მიმდინარე სწავლის საფასურის გადახდისათვის დადგენილ ვადებში დამატებით გაიაროს აკადემიური და ადმინისტრაციული (ფინანსური) რეგისტრაცია, დავალიანებული საგნის დარეგისტრირების მიზნით.

11. დასაშვებია საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების მე-3 სასწავლო წლის სტუდენტებისათვის პროგრამით დაგეგმილი შორეული სავლეე პრაქტიკის გავლის (სასწავლო კომპონენტის-5 კრედიტის შესრულების) ვალდებულების გადავადება ერთჯერადად, ერთი სასწავლო წლის ვადით (მომდევნო სასწავლო წლის სტუდენტებთან ერთად გავლის პირობით). ასეთ შემთხვევაში, სტუდენტის მიერ ბოლო სასწავლო წელს ათვისებული კრედიტების რაოდენობა არ უნდა აჭარბებდეს 75 კრედიტს. გადავადების

შესახებ სტუდენტის განცხადებისა და ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით გამოიცემა ბსუს რექტორის ბრძანება. *(დამატება ბსუს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 14 ივლისის N53 დადგენილებით).*

## **მუხლი 10. სტუდენტის შეფასების წესი**

*(ცვლილება ბსუს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 09 აგვისტოს N61 დადგენილებით)*

1. სასწავლო კომპონენტში (სასწავლო კურსი, მოდული, პრაქტიკა, შემოქმედებითი/პრაქტიკული სახის პროექტი, საბაკალავრო კვლევითი პროექტი/ნაშრომი ან სხვ.) სტუდენტის საბოლოო შეფასება წარმოადგენს შუალედური შეფასებისა და დასკვნითი შეფასების ჯამს.

2. სასწავლო კურსის/მოდულის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია, საიდანაც შუალედურ შეფასებას ეთმობამინიმუმ 40 და მაქსიმუმ 60 ქულა;

3. შუალედური შეფასებისა და დასკვნითი შეფასების ნაწილს წარმოადგენს შეფასების კომპონენტები, რომლებიც შეიძლება აერთიანებდეს შეფასების მეთოდებს (ზეპირი/წერიითი გამოცდა, ზეპირი/წერიითი გამოკითხვა, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.):

### **3.1 შუალედური შეფასება შეიძლება მოიცავდეს:**

3.1.1 შუალედურ გამოცდას - 20 ქულა;

3.1.2 მიმდინარე შეფასებებს - მაქსიმუმ 40 ქულა:

ა) წერით გამოკითხვებს (წერიითი დავალება, ტესტი, რეზიუმე, ქვიზი, საშინაო დავალება, ესე, სიტუაციური ამოცანა, კაზუსიდა სხვ.)- მაქსიმუმ 30 ქულა;

ბ) ზეპირ გამოკითხვებს (დისკუსია, დებატები, პრეზენტაცია, სემინარი, აქტივობა და სხვ.)- მაქსიმუმ 20 ქულა;

გ) შეფასების სხვა სახის მეთოდს (როლური თამაში, იმიტაცია, სიმულაცია, პოსტერი და სხვ.) - მაქსიმუმ 15 ქულა;

3.1.3 შეფასების სხვა სახის კომპონენტს (პროექტი, რეფერატი, პრეზენტაცია და სხვ.)- მაქსიმუმ 15 ქულა;

### **3.2 დასკვნითი შეფასების ფორმებია:**

ა) დასკვნითი გამოცდა;

ბ) სხვა სახის შეფასება.

4. შეფასების თითოეულ კომპონენტში გამოსაყენებელი შეფასების მეთოდები, შეფასების კრიტერიუმები და შესაბამისი ქულის დაგროვების წესი განისაზღვრება სასწავლო კომპონენტის სილაბუსით, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს შემდეგ მინიმალურ მოთხოვნებს:

ა) მიმდინარე შეფასების თითოეული წერიითი გამოკითხვა (რომელიც შეიძლება მოიცავდეს სხვადასხვა სირთულის, ფორმისა და შინაარსის თეორიულ საკითხებს, პრაქტიკულ დავალებებს, სიტუაციურ ამოცანებს, ღია, დახურულ ან/და მრავალპასუხიან ტესტებს და სხვ.) შეიძლება შეფასდეს მაქსიმუმ 10 ქულით;

ბ) მიმდინარე შეფასების თითოეული ზეპირი გამოკითხვა შეიძლება შეფასდეს მაქსიმუმ 5 ქულით;

გ) მიმდინარე შეფასებებში, შუალედურ და დასკვნით გამოცდებში გამოყენებული ღია ტესტი ან მრავალპასუხიანი დახურული ტესტი შეიძლება შეფასდეს მაქსიმუმ 1 ქულით;

დ) მიმდინარე შეფასებებში, შუალედურ და დასკვნით გამოცდებში გამოყენებული დახურული ერთპასუხიანი ტესტი შეიძლება შეფასდეს მაქსიმუმ 0.5 ქულით;

*(ცვლილება ბსუს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 05 აპრილის N20 დადგენილებით)*

5. შუალედური გამოცდა უნდა ჩატარდეს წერიითი ფორმით, ხოლო დასკვნითი გამოცდა - მხოლოდ წერიითი (არა მხოლოდ ტესტირებული) ან კომბინირებული (წერიითი და ზეპირი) ფორმით. კომბინირებული გამოცდის შემთხვევაში, წერიითი ნაწილის ხვედრითი წილი უნდა იყო გამოცდის საერთო შეფასების არანაკლებ 50%. გამონაკლის შემთხვევაში,

პროფესორის/მასწავლებლის დასაბუთებული დასკვნის საფუძველზე, დასაშვებია დასკვნითი გამოცდის მხოლოდ ზეპირი ან ტესტირებული ფორმით ჩატარება. დასკვნითი გამოცდის ბილეთი სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე შეიძლება მოიცავდეს:

- ა) თეორიულ საკითხებს - ერთი საკითხი ფასდება მაქსიმუმ 5 ქულით;
- ბ) პრაქტიკულ დავალებებს - ერთი დავალება ფასდება მაქსიმუმ 5 ქულით;
- გ) სიტუაციურ ამოცანებს - ერთი ამოცანა ფასდება მაქსიმუმ 5 ქულით;
- დ) ღია, დახურულ ან/და მრავალპასუხიან ტესტებს - ფასდება ამ მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტების შესაბამისად;
- ე) სხვა ტიპის დავალებებს - ერთი დავალება ფასდება მაქსიმუმ 5 ქულით.

*(ცვლილება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 05 აპრილის N20 დადგენილებით)*

6. პრაქტიკის, შემოქმედებითი/პრაქტიკული სახის პროექტის, საბაკალავრო კვლევითი პროექტის/ნაშრომის შემთხვევაში შუალედური და დასკვნითი შეფასებისათვის შესაძლებელია ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული შეფასების კომპონენტებისაგან განსხვავებული კომპონენტების გამოყენება;

7. შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არის 35% (60 ქულის შემთხვევაში - 21 ქულა);

8. დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არის 50% (40 ქულის შემთხვევაში - 20 ქულა);

9. სტუდენტი ვალდებულია დაესწროს სალექციო მეცადინეობების მინიმუმ 50%-ს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი დასკვნით გამოცდაზე არ დაიშვება.

10. სტუდენტის შეფასებები სილაბუსით განსაზღვრული კომპონენტების მიხედვით ფიქსირდება შეფასების უწყისში, რომლის ფორმა მტკიცდება ბსუ-ს რექტორის ბრძანებით.

11. სტუდენტის შეფასება ხდება შემდეგნაირად:

- ა) (A) ფრიადი - 91 ქულა და მეტი;
- ბ) (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა;
- გ) (C) კარგი - 71-80 ქულა;
- დ) (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა;
- ე) (E) საკმარისი - 51-60 ქულა;
- ვ) (FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ზ) (F) ჩაიჭრა - 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი თავიდან აქვს შესასწავლი.

12. სტუდენტის გამოცდაზე ჩაჭრის საფუძველია:

ა) გამოცდის მიმდინარეობისას სტუდენტის მოქმედება, რომელიც არ შეესაბამება ბსუ-ში გამოცდების ჩატარების ინსტრუქციას და ბსუ-ს ეთიკის კოდექსს;

ბ) დასკვნით გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადაულახაობა;

13. ბსუ-ში გამოიყენება აგრეთვე სტუდენტის/კურსდამთავრებულის შეფასების საშუალო მაჩვენებელი (GPA). შეფასების საშუალო მაჩვენებლის გამოსათვლელად სასწავლო კურსის/მოდულის შესაბამისი კრედიტების რაოდენობისა და სტუდენტის მიერ ამავე კურსში მიღებული შეფასების (ქულის) შესაბამისი კოეფიციენტის (50 ქულამდე - 0; 51-დან 61-მდე - 1.55; 61-დან 71-მდე - 2.16; 71-დან - 81-მდე - 2.77; 81-დან 91-მდე - 3.38; 91-ზე მეტი - 4) ნამრავლთა ჯამი იყოფა კრედიტების ჯამზე.  $GPA = (\sum GP \cdot CR) / (\sum CR)$ , სადა GP - წარმოადგენს კონკრეტულ სასწავლო კურსში მიღებულ შეფასების (ქულის) შესაბამის კოეფიციენტს, ხოლო CR - აღნიშნული სასწავლო კურსის შესაბამის კრედიტს *(შევიდა ცვლილება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 05 აპრილის N20 დადგენილებით).*

**მუხლი 11. სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა *(ცვლილება აკადემიური საბჭოს 2018 წლის 11 ოქტომბრის N114 დადგენილებით)***

1. უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვა ხორციელდება ელექტრონული სისტემის - **spm.bsu.edu.ge** (შემდეგში „სისტემის“) მეშვეობით.

2. სისტემის ადმინისტრირების და თითოეული სტრუქტურული ერთეულის/დასაქმებულის (შემდეგში „მომხმარებელი“) ფუნქციათა აღწერილობა განისაზღვრება ბსუ-ს რექტორის ბრძანებით დამტკიცებული „**ბსუ-ს სტუდენტთა ელექტრონული სერვისების მართვის წესით**“.

3. სისტემის ძირითადი ადმინისტრატორია ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტი, ხოლო ადმინისტრირებას მონიტორინგს უწევს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

4. სიტემაში ხარვეზის გამოვლენის შემთხვევაში, მომხმარებელი (ფაკულტეტის ადმინისტრაცია/შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი/პროგრამის ხელმძღვანელი/სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალი/სტუდენტი) ვალდებულია ერთი კვირის ვადაში წარმოადგინოს აღნიშნულის შესახებ წერილობითი ინფორმაცია (სტუდენტმა - სტუდენტური პორტალის - **portal.bsu.edu.ge** მეშვეობით, ხოლო დასაქმებულმა - ელექტრონული საქმისწარმოების შესაბამისად).

5. წინამდებარე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში დასაქმებულის მხრიდან ინფორმაციის წარუდგენლობა შეიძლება გახდეს მის მიმართ დისციპლინური საქმისწარმოების დაწყების საფუძველი, ხოლო სტუდენტის მხრიდან ინფორმაციის წარუდგენლობის შემთხვევაში, სისტემაში ცვლილება არ განხორციელდება (განსაკუთრებულ/გამონაკლის შემთხვევებში დასაშვებია ცვლილება მხოლოდ რექტორის ბრძანებით).

## **მუხლი 12. შუალედური და დასკვნითი გამოცდის აღდგენის პირობები და დამატებითი გამოცდა**

1. შუალედურ გამოცდაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში (განსაკუთრებული საპატიო მიზეზით - ოჯახის წევრის გარდაცვალება და უნივერსიტეტის სახელით საგანმანათლებლო-კულტურულ ღონისძიებაში მონაწილეობა), გამოცდის აღდგენა დასაშვებია გამოცდის ჩატარებიდან არაუგვიანეს ერთი კვირისა. სტუდენტმა გამოცდის ჩატარებიდან არაუგვიანეს მე-3 დღისა შესაბამისი განცხადებით უნდა მიმართოს ფაკულტეტის დეკანს და წარუდგინოს გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზების დამადასტურებელი არგუმენტები და მტკიცებულებები (დოკუმენტი/ცნობა). სტუდენტის განცხადება დეკანის მიერ განიხილება 2 სამუშაო დღის ვადაში და გამოიცემა დეკანის ბრძანება, რომელიც დაუყოვნებლივ ეცნობება სტუდენტს და შესაბამისი საგნის ლექტორს. ბრძანება არ საჩივრდება.

2. დასკვნით (ძირითად) გამოცდაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, გამოცდის აღდგენა დასაშვებია ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად.

3. სტუდენტს, რომლის საბოლოო შეფასება (შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შედეგები) არის (FX)ვერ ჩააბარა - 41-50 ქულა“, უფლება აქვს გავიდეს დამატებით გამოცდაზე იმავე სემესტრში. თუ სტუდენტმა დამატებითი გამოცდისა და შუალედური შეფასებების ჯამით მიიღო 41 ქულაზე ნაკლები ან არ გამოცხადდა, ითვლება ჩაჭრილად და ფასდება „(F) ჩაიჭრა“ შეფასებით.

4. დასკვნითი გამოცდის შედეგის გამოცხადებიდან შესაბამის დამატებით გამოცდამდე შუალედი არ უნდა იყოს 5 დღეზე ნაკლები. *(ცვლილება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 05 აპრილის N20 დადგენილებით)*

## **მუხლი 13. გამოცდების შედეგების გასაჩივრება**

1. საგნის ლექტორი სტუდენტთა საგამოცდო ნამუშევრებს ჯგუფში სტუდენტთა რაოდენობის გათვალისწინებით ასწორებს და შეფასებებს აცნობებს მათ შემდეგ ვადებში:  
*(ცვლილება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 14 თებერვლის N17 დადგენილებით)*

- ა) 1-დან 25- მდე სტუდენტის შემთხვევაში – 2 დღეში;
- ბ) 25-დან 50-მდე სტუდენტის შემთხვევაში – 3 დღეში;
- გ) 50-დან 70-მდე სტუდენტის შემთხვევაში – 4 დღეში;
- დ) 70-ზე მეტი სტუდენტის შემთხვევაში – 5 დღეში.

2. შუალედური ან დასკვნითი გამოცდის შედეგების გაცნობიდან არაუგვიანეს 3 დღისა, სტუდენტი წერილობით საჩივარს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წარადგენს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატში. დარეგისტრირებული საჩივარი ფაკულტეტის დეკანის მიერ რეაგირებისათვის გადაეცემა შესაბამისი საგნის ლექტორს არაუგვიანეს მე-2 სამუშაო დღისა.  
*(ცვლილება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 05 აპრილის N20 დადგენილებით)*

3. წარდგენილ საჩივარს შესაბამისი საგნის ლექტორი განიხილავს 2 სამუშაო დღის ვადაში. დეკანს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება სტუდენტის შეფასების კომისიური წესით გადახედვის თაობაზე. პრეტენზიის დაკმაყოფილების შემთხვევაში, ლექტორი/კომისიის თავმჯდომარე რექტორის სახელზე წარადგენს მოხსენებით ბარათს ელექტრონული მართვის სისტემაში საგამოცდო ნიშნის ასახვის თაობაზე. *(ცვლილება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 05 აპრილის N20 დადგენილებით)*

4. იმ შემთხვევაში, თუკი საჩივრის (პრეტენზიის) წარდგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში არ იქნება განხილული საჩივარი ან ლექტორის მიერ მიიღება უარყოფითი გადაწყვეტილება, სტუდენტს უფლება აქვს საჩივრით მიმართოს ბსუ-ს რექტორს, რომელიც საჩივრის განხილვის მიზნით ქმნის სააპელაციო კომისიას.

5. კომისიას უფლება აქვს პირველივე სხდომაზე დაადგინოს სტუდენტის შეფასების წესი, რომელიც არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს, როგორც ბსუ-ში მოქმედ წესებს, ასევე შესაბამისი საგნის სპეციფიკას.

6. სააპელაციო კომისია უფლებამოსილია სტუდენტის შეფასება შეცვალოს (მაგრამ არა საუარესოდ) ან დატოვოს ძალაში. აღნიშნული გადაწყვეტილება ფორმდება შესაბამისი ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის წევრები და წარუდგენენ რექტორს.

7. პრეტენზიის დაკმაყოფილების შემთხვევაში, სააპელაციო კომისიის თავმჯდომარე რექტორის სახელზე წარადგენს მოხსენებით ბარათს ელექტრონული მართვის სისტემაში საგამოცდო ნიშნის ასახვის თაობაზე. *(ცვლილება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 05 აპრილის N20 დადგენილებით)*

#### **მუხლი 14. საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომის გაფორმება-წარდგენა**

1. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა კვლევითი უნარების განვითარების მიზნით შეიძლება ითვალისწინებდეს საბაკალავრო ნაშრომის შესრულებას.

2. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტი ითვალისწინებს მაგისტრანტის მიერ ჩატარებულ დამოუკიდებელ კვლევას შესაბამისი მიმართულებით, რომლის შედეგებიც აისახება სამაგისტრო ნაშრომში. სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს დასრულებულ ინოვაციურ კვლევას.

**3.** სამაგისტრო/საბაკალავრო ნაშრომის შესრულებისათვის ბსუ-ს სტუდენტს ენიშნება ხელმძღვანელი. საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომის (თემის) დასახელების შერჩევა ხდება სტუდენტისა და ხელმძღვანელის მოსაზრებათა შეჯერების საფუძველზე, სტუდენტის ინტერესებისა და თანამედროვე პრობლემატიკის გათვალისწინებით. საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომის (თემის) დასახელებას და

ხელმძღვანელს, ფაკულტეტის შესაბამისი დარგობრივი დეპარტამენტის წარდგინებით, ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო: **(ცვლილება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 14 სექტემბრის N06-01/70 დადგენილებით)**

ა) საბაკალავრო ნაშრომის შემთხვევაში - მისი შესრულების სემესტრის დაწყებიდან არაუგვიანეს 2 კვირის ვადაში (აკადემიური რეგისტრაცია);

ბ) სამაგისტრო ნაშრომის შემთხვევაში - მაგისტრანტის სწავლების არაუგვიანეს მე-3 სემესტრის დასაწყისისა.

**4. ბსუ-ს სტუდენტის საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს: (ცვლილება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 09 აგვისტოს N61 დადგენილებით) (ცვლილება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 14 სექტემბრის N06-01/70 დადგენილებით)**

ა) საბაკალავრო ნაშრომის შემთხვევაში - ბსუ-ს აკადემიური ან სამეცნიერო თანამდებობის პირი, ასევე მოწვეული სპეციალისტი ან მასწავლებელთა პერსონალის წარმომადგენელი (არანაკლებ მაგისტრის ან მაგისტრის ხარისხთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირი);

ბ) სამაგისტრო ნაშრომის შემთხვევაში - ბსუ-ს პროფესორი/ასოცირებული პროფესორი/ასისტენტ-პროფესორი/დოქტორის ხარისხის მქონე ასისტენტი/მთავარი ან უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი/უფროსი მასწავლებელი/ბსუ-ს ემერიტუსი. ფაკულტეტის დეკანის დასაბუთებული წინადადების საფუძველზე, შესაძლებელია სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი იყოს ბსუ-ს დოქტორანტი (ბსუ-ს მოწვეული მასწავლებელი), რომელსაც შესრულებული აქვს შესაბამისი სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი.

5. სტუდენტმა საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომი უნდა წარმოადგინოს ყდაში აკინძული და გაფორმების დროს დაცული უნდა იყოს შემდეგი ნორმატივები:

ა) ტექსტი უნდა აიკრიფოს A4 ზომის სტანდარტულ ფურცელზე;

ბ) შრიფტის სახე – Sylfaen;

გ) შრიფტის ზომა – 12;

დ) სტრიქონებს შორის მანძილი – 1,5 ინტერვალი;

ე) ფურცლის გვერდზე ტექსტის მინდორი: მარცხენა – 3 სმ, მარჯვენა – 1,5 სმ, ზემოთ – 2 სმ, ქვემოთ – 2 სმ;

6. სამაგისტრო ნაშრომის მოცულობა უნდა შეადგენდეს არანაკლებ 50 გვერდს, დანართების გარეშე, ხოლო საბაკალავრო ნაშრომისა - არანაკლებ 25 გვერდს. დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით, აკადემიურმა საბჭომ შეიძლება დაადგინოს კონკრეტულ მიმართულებაში საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომის შესრულების განსხვავებული ნორმატივები.

7. საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომი უნდა დაიბეჭდოს და აიკინძოს დადგენილი სტრუქტურით. აღნიშნულ სტრუქტურაში იგულისხმება:

ა) თავფურცელი – წარმოადგენს ნაშრომის პირველ გვერდს. თავფურცელზე, ზემოთ უნდა მიეთითოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სრული დასახელება - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. უნივერსიტეტის დასახელება უნდა გამოიყოს ქვედა ნაწილისაგან 2-3 ს-ით, მომდევნო ხაზზე 1,5 ინტერვალით ფაკულტეტის დასახელება. შემდეგ აღინიშნება სტუდენტის სახელიდავარი, შუანაწილში - ნაშრომის დასახელება (შრიფტის ზომა 16), ნაშრომის სათაურის შემდეგ იწერება საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება და საძიებელი ხარისხი, რომლის მოსაპოვებლად არის წარმოდგენილი ნაშრომი. თავფურცლის მარჯვენა მხარეს აღინიშნება თემის ხელმძღვანელის აკადემიური თანამდებობა ან აკადემიური ხარისხი, ინიციალები და გვარი. თავფურცლის ბოლოს მიეთითება შესრულების ადგილი და ნაშრომის წარდგენის წელი (მაგ: ბათუმი - 2015);

ა) განაცხადი წარდგენილ ნაშრომში პლაგიატის არარსებობის შესახებ - მიზნად ისახავს წარდგენილი ნაშრომის დაცვას პლაგიატისაგან. ნაშრომის ავტორის განაცხადი უნდა განთავსდეს ცალკე ფურცელზე (სასურველია შემდეგი შინაარსის ტექსტის გამოყენება:

„როგორც წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“ (განაცხადის ტექსტის ქვემოთ უნდა მიეთითოს ავტორის სახელი, გვარი, ხელმოწერა და თარიღი). *( ცვლილება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 14 თებერვლის N14 დადგენილებით).*

ბ) ანოტაცია - წარმოადგენს ნაშრომის მოკლე შინაარსს, ამასთან, დამოუკიდებელი ტექსტობრივი ერთეულია, რომელსაც აქვს თავისი შესავალი, ძირითადი ნაწილი და დასკვნა. ანოტაციაში უნდა იყოს აღწერილი: ნაშრომის საკვლევი თემა და საკითხები, კვლევის მეთოდოლოგია, კვლევის შედეგები და შედეგების მნიშვნელობა. როგორც წესი, ანოტაციის ტექსტში წყაროების ციტირება არ არის გათვალისწინებული, მასში ასევე არ გამოიყენება ცხრილები, გრაფიკები და სხვა თვალსაჩინოებები. ანოტაცია არ უნდა აღემატებოდეს 150 სიტყვას. იგი უნდა დაერთოს ნაშრომს ქართულ და ინგლისურ ენებზე. *(შევიდა ცვლილება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 14 თებერვლის N14 დადგენილებით)*

გ) სარჩევი – თანმიმდევრულად უნდა აისახოს ნაშრომის სრული ტექსტის ყველა თავისა და პარაგრაფის ზუსტი დასახელება, დასაწყისი გვერდების ნომრების მითითებით;

დ)შესავალი – უნდა აისახოს საკვლევი თემის აქტუალობის დასაბუთება, მიზნები და დასმული ამოცანები, კვლევისათვის გამოყენებული მეთოდები და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;

ე) ძირითადი ტექსტი – იგი ასახავს ნაშრომის შინაარსს. მასში უნდა გამოიყოს თავები და პარაგრაფები;

ვ) სამაგისტრო/საბაკალავრო ნაშრომის დასკვნა – წარმოადგენს კვლევის ძირითადი შედეგების ამსახველ ნაწილს, სადაც უნდა აისახოს მიღებული ახალი მეცნიერული შედეგების თეორიული მნიშვნელობა, პრაქტიკული ღირებულება და პერსპექტიული გამოყენების სფერო. საბაკალავრო ნაშრომის დასკვნაში უნდა აისახოს ნაშრომის ძირითადი შედეგები, რაც მოკლედ და კონკრეტულად უნდა პასუხობდეს ნაშრომის მიზნებსა და დასმულ ამოცანებს.

ზ) გამოყენებული ლიტერატურა – გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა უნდა მიეთითოს ანბანური თანმიმდევრობით;

თ) საილუსტრაციო მასალა (არსებობის შემთხვევაში).

## **მუხლი 15. საბაკალავრო ნაშრომის დაცვის პროცედურა**

1. საბაკალავრო ნაშრომით ჯამდება სტუდენტის მიერ სასწავლო კურსების გავლით მიღებული ზოგადი და დარგობრივი ცოდნა, ვლინდება არგუმენტაციის, ანალიზისა, დასკვნის გამოტანის, ინფორმაციის მოძიების, დამოუკიდებლად სწავლისა და მუშაობის უნარები. საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობამ ბაკალავრს უნდა ჩამოუყალიბოს მცირე კვლევითი ხასიათის უნარ-ჩვევები, გამოუმუშაოს ინოვაციური კვლევის დაგეგმვის, პრობლემის გადაჭრის სწორი გადაწყვეტილების მიღების, ცოდნის დასაბუთების, პრეზენტაციისა და კომუნიკაციის უნარი.

2. *(ამოღებულია ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 14 თებერვლის N17 დადგენილებით)*

3. *(ამოღებულია ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 14 სექტემბრის N06-01/70 დადგენილებით)*

4. **(ამოღებულია ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 14 სექტემბრის N06-01/70 დადგენილებით)**

5. საბაკალავრო ნაშრომი წარედგინება შესაბამის დარგობრივ დეპარტამენტს წინასწარი განხილვისათვის (აპრობაციისათვის), სასწავლო პროცესის დასრულებამდე ერთი თვით ადრე, რომლის შემდეგ დეპარტამენტი გამოყოფს შემფასებელს (რეცენზენტს). რეცენზენტი შეიძლება იყოს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს მეცნიერული კვლევები საბაკალავრო ნაშრომის შესაბამის დარგში, ან დარგში მომუშავე კვალიფიცირებული (პრაქტიკოსი) სპეციალისტი. რეცენზენტი არ შეიძლება იყოს ნაშრომის ხელმძღვანელი.

5. დარგობრივ დეპარტამენტში საბაკალავრო ნაშრომის წინასწარ განხილვაზე (აპრობაციაზე) დაშვების მიზნით, სტუდენტი ვალდებულია შესაბამის სემესტრში, არაუგვიანეს მე-14 სასწავლო კვირისა, Moodle-ის პლატფორმაზე ატვირთოს ნაშრომი, რომელიც შემოწმდება როგორც ანტიპლაგის პროგრამით, ასევე სტუდენტის სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ. ნაშრომის პირველადი შემოწმება განხორციელდეს არაუგვიანეს მე-15 სასწავლო კვირისა. *(ცვლილება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 06 მაისის N 06-01/50 დადგენილებით, რომელიც გავრცელდა 2019-2020 სასწავლო წლიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე).*

5<sup>1</sup>. საბაკალავრო ნაშრომში პლაგიატის გამოვლენის (40%-ზე მეტი, მაგრამ არაუმეტეს 80%-ისა - საშუალო სიმძიმის პლაგიატი) შემთხვევაში, ხელმძღვანელი იღებს გადაწყვეტილებას სტუდენტისათვის ნაშრომის კორექტირების მიზნით დაბრუნების, აპრობაციაზე დაშვების ან დაუშვებლობის შესახებ, რასაც ასახავს დასკვნაში და წარუდგენს შესაბამის დარგობრივ დეპარტამენტს. Moodle-ის პლატფორმაზე ხელმძღვანელი უთითებს შესაბამის კომენტარებს. სტუდენტი ვალდებულია გადამუშავებული საბაკალავრო ნაშრომი (ასეთი უფლებამოსილების მინიჭების შემთხვევაში) განმეორებით ატვირთოს Moodle-ის პლატფორმაზე არა უგვიანეს მე-17 სასწავლო კვირისა. პირველადი წარდგენის შემთხვევაში ნაშრომში 80%-ზე მეტი თანხვედრის (უხეში პლაგიატის) ან განმეორებით წარდგენის შემთხვევაში 40%-ზე მეტი თანხვედრის აღმოჩენის ან ხელმძღვანელის მიერ სტუდენტის აპრობაციაზე დაუშვებლობის შემთხვევაში, ნაშრომი ფასდება „0“ ქულით (F – ჩაიჭრა). *(დამატება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 06 მაისის N 06-01/50 დადგენილებით, რომელიც გავრცელდა 2019-2020 სასწავლო წლიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე).*

5<sup>2</sup>. სტუდენტის სამეცნიერო ხელმძღვანელი პირველად ან/და განმეორებით ატვირთული ნაშრომის გადამოწმების შედეგად ამზადებს დასკვნას არაუგვიანეს მე-18 სასწავლო კვირისა და წინასწარ განხილვისათვის (აპრობაციისათვის) წარადგენს დარგობრივ დეპარტამენტში. დეპარტამენტის საოქმო გადაწყვეტილებით განისაზღვრება ნაშრომის შემფასებელი (რეცენზენტი), რომელიც შეიძლება იყოს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს მეცნიერული კვლევები საბაკალავრო ნაშრომის შესაბამის დარგში, ან არის შესაბამისი დარგის კვალიფიცირებული სპეციალისტი (პრაქტიკოსი). რეცენზენტი არ შეიძლება იყოს იმავე ნაშრომის ხელმძღვანელი. საბაკალავრო ნაშრომის წინასწარი განხილვის (აპრობაციის) და დაცვის ვადად განისაზღვროს მე-19/მე-20 სასწავლო კვირა. *(დამატება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 06 მაისის N 06-01/50 დადგენილებით, რომელიც გავრცელდა 2019-2020 სასწავლო წლიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე).*

6. რეცენზენტი ნაშრომის წარდგენიდან ორი კვირის ვადაში წარმოადგენს ნაშრომის შეფასებას.

7. საბაკალავრო ნაშრომის (მომზადება, გაფორმება, დაცვა) შეფასებისათვის განსაზღვრულია 100 ქულა და ის ნაწილდება რამდენიმე კომპონენტზე. საბაკალავრო კომისიის წინაშე წარმოდგენილი ნაშრომის პრეზენტაცია ფასდება მაქსიმუმ 40 ქულით. შუალედური შეფასების ხვედრითი წილია მაქსიმუმ 60 ქულა. შუალედური შეფასება მოიცავს:

ა) შუალედურ, საბაკალავრო ნაშრომის მიმდინარეობის შეფასებას -30 ქულა; (აფასებს ხელმძღვანელი);

ბ) რეცენზენტის შეფასება - 30 ქულა.

8. ნაშრომის დასკვნითი შეფასება ხორციელდება საბაკალავრო ნაშრომის დაცვის კომისიის წინაშე. დაცვა არის საჯარო. სტუდენტი თემას წარმოადგენს პრეზენტაციის ფორმით და აკეთებს აქცენტებს თემის ძირითად დებულებებზე.

9. საბაკალავრო ნაშრომის დაცვა უნდა ჩატარდეს შესაბამისი დარგის სპეციალისტებისაგან შედგენილი კომისიის წინაშე, რომელიც იქმნება ფაკულტეტის დეკანის სამართლებრივი აქტით. ნაშრომის დაცვის პროცედურა საჯაროა. ნაშრომის წარდგენისათვის მომხსენებელს ეძლევა 10-15 წუთი.

10. კომისიის თავმჯდომარე დამსწრე საზოგადოებას აცნობს სტუდენტის ვინაობას, ნაშრომის თემას, სპეციალობას და ხელმძღვანელს. ამის შემდეგ სიტყვა მოხსენებისათვის ეძლევა სტუდენტს. სტუდენტის მოხსენებაში მოკლედ და მკაფიოდ უნდა იყოს ჩამოყალიბებული ნაშრომის მიზნები, ამოცანები და ძირითადი შედეგები. საბაკალავრო ნაშრომების დაცვის პროცედურის დასრულების შემდეგ კომისია იწვევს დახურულ სხდომას, რომელზეც ფასდება თითოეული ნაშრომი.

11. სტუდენტის მიერ საბაკალავრო ნაშრომის დაცვაზე გასვლა სავალდებულოა. საჯარო დაცვის შეფასების კრიტერიუმებია:

- ა) თემის აკადემიური დონე - 10 ქულა;
- ბ) პრობლემის დასმა და წარმოჩენა - 10 ქულა;
- გ) დასკვნების არგუმენტაცია და დისკუსიაში მონაწილეობა - 10 ქულა;
- დ) პრეზენტაციის უნარი - 10 ქულა.

12. დაცვის პროცედურის მსვლელობისას კომისიის თითოეული წევრი აფასებს სტუდენტის საბაკალავრო ნაშრომს, საბოლოო შეფასება დგინდება თითოეული წევრის მიერ მინიჭებული ქულების საშუალო არითმეტიკულით. დაცვის შეფასება ფორმდება უწყისში. საბაკალავრო ნაშრომის შეფასების მიმართ პრეტენზიის მქონე სტუდენტს უფლება აქვს გააპროტესტოს შედეგი გამოცხადებისთანავე. კომისია ვალდებულია პრეტენზია განიხილოს სტუდენტის თანდასწრებით და მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება.

13. საბაკალავრო ნაშრომი ითვლება შესრულებულად თუკი ნაშრომის მიმდინარე შეფასებებისა და საჯარო დაცვაზე მიღებული შეფასება შეადგენს 51-დან 100 ქულას.

14. თუ საბაკალავრო ნაშრომის მიმდინარე შეფასებებისა და საჯარო დაცვის ქულათა ჯამი შეადგენს 41-დან 50 ქულას, ან სტუდენტი არ გამოცხადდა საჯარო დაცვაზე მას უფლება აქვს საბაკალავრო ნაშრომი კომისიას წარუდგინოს განმეორებით დაცვაზე;

15. სტუდენტის გამოუცხადებლობის, ან არადაამაკმაყოფილებელი შეფასების შემთხვევაში სტუდენტი ითვლება ჩაჭრილად და იგი ვალდებულია განმეორებით დაარეგისტრიროს საბაკალავრო ნაშრომი. *(ცვლილება აკადემიური საბჭოს 2018 წლის 11 ოქტომბრის N114 დადგენილებით, რომელიც გავრცელდა 2019-2020 სასწავლო წლიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე).*

#### **მუხლი 16. სამაგისტრო ნაშრომის დაგეგმვის, მომზადებისა და დაცვის პროცედურები**

*(სათაურში შევიდა ცვლილება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 05 აპრილის N20 დადგენილებით)*

1. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა სრულდება სამაგისტრო ნაშრომის დაცვით, რომლის უფლებას მაგისტრანტი მოიპოვებს სასწავლო კომპონენტის (90 კრედიტი) ათვისების შემდეგ. სამაგისტრო ნაშრომი მოიცავს 30 კრედიტს და იგი წარმოადგენს მაგისტრის მიერ შესრულებული სამეცნიერო კვლევის შედეგს.

2. *(ამოღებულია ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 14 სექტემბრის N06-01/70 დადგენილებით)*

3. *(ამოღებულია ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 14 სექტემბრის N06-01/70 დადგენილებით)*

4. *(ამოღებულია ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 14 სექტემბრის N06-01/70 დადგენილებით)*

5. სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისას მაგისტრანტს მოეთხოვება შესაბამისი ლიტერატურის შესწავლა, ექსპერიმენტის ან კვლევის ჩატარება და დასკვნების გაკეთება.

6. სამაგისტრო ნაშრომი სასწავლო პროცესის დასრულებამდე ერთი თვით ადრე წარედგინება შესაბამის დეპარტამენტს წინასწარი განხილვისათვის (აპრობაციისათვის).

7. დარგობრივ დეპარტამენტში სამაგისტრო ნაშრომის წინასწარ განხილვაზე (აპრობაციაზე) დაშვების მიზნით, სტუდენტი ვალდებულია შესაბამის სემესტრში, არაუგვიანეს მე-14 სასწავლო კვირისა, Moodle-ის პლატფორმაზე ატვირთოს ნაშრომი, რომელიც შემოწმდება როგორც ანტიპლაგის პროგრამით, ასევე სტუდენტის სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ. ნაშრომის პირველადი შემოწმება განხორციელდეს არაუგვიანეს მე-15 სასწავლო კვირისა. *(ცვლილება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 06 მაისის N06-01/50 დადგენილებით).*

7<sup>1</sup>. სამაგისტრო ნაშრომში პლაგიატის გამოვლენის (40%-ზე მეტი, მაგრამ არაუმეტეს 80%-ისა - საშუალო სიმძიმის პლაგიატი) შემთხვევაში, ხელმძღვანელი იღებს გადაწყვეტილებას სტუდენტისათვის ნაშრომის კორექტირების მიზნით დაბრუნების, აპრობაციაზე დაშვების ან დაუშვებლობის შესახებ, რასაც ასახავს დასკვნაში და წარუდგენს შესაბამის დარგობრივ დეპარტამენტს. Moodle-ის პლატფორმაზე ხელმძღვანელი უთითებს შესაბამის კომენტარებს. სტუდენტი ვალდებულია გადამუშავებული სამაგისტრო ნაშრომი (ასეთი უფლებამოსილების მინიჭების შემთხვევაში) განმეორებით ატვირთოს Moodle-ის პლატფორმაზე არა უგვიანეს მე-17 სასწავლო კვირისა. პირველადი წარდგენის შემთხვევაში ნაშრომში 80%-ზე მეტი თანხვედრის (უხეში პლაგიატის) ან განმეორებით წარდგენის შემთხვევაში 40%-ზე მეტი თანხვედრის აღმოჩენის ან ხელმძღვანელის მიერ სტუდენტის აპრობაციაზე დაუშვებლობის შემთხვევაში, ნაშრომი შეფასდება, როგორც „არადაკმაყოფილებელი“ (insufficient). *(დამატება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 06 მაისის N06-01/50 დადგენილებით).*

7<sup>2</sup>. სტუდენტის სამეცნიერო ხელმძღვანელი პირველად ან/და განმეორებით ატვირთული ნაშრომის გადამოწმების შედეგად ამზადებს დასკვნას არაუგვიანეს მე-18 სასწავლო კვირისა და წინასწარ განხილვისათვის (აპრობაციისათვის) წარუდგენს დარგობრივ დეპარტამენტში. დეპარტამენტის საოქმო გადაწყვეტილებით განისაზღვრება ნაშრომის შემფასებელი (რეცენზენტი). *(დამატება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 06 მაისის N06-01/50 დადგენილებით).*

8. რეცენზენტი დასკვნას წარმოადგენს ნაშრომის წარდგენიდან ორი კვირის ვადაში *(ცვლილება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 05 აპრილის N20 დადგენილებით).*

9. *(ამოღებულია ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 05 აპრილის N20 დადგენილებით).*

10. *(ამოღებულია ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 05 აპრილის N20 დადგენილებით).*

11. სამაგისტრო ნაშრომი უნდა შეფასდეს იმავე სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას. სამაგისტრო ნაშრომი უნდა შეფასდეს ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით) სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასების სისტემის მიხედვით:

ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი;

ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;

გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;

დ) საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს;

ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;

ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო;

ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

*(ცვლილება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 05 აპრილის N20 დადგენილებით)*

12. საჯარო დაცვის კომისიის შემადგენლობაში შედის შესაბამისი დარგის აკადემიური ხარისხის მქონე ხუთი პირი. კომისიის შემადგენლობა მტკიცდება რექტორის ბრძანებით.

13. მაგისტრანტი საჯარო დაცვაზე დაიშვება ფაკულტეტის დეკანის შესაბამისი სამართლებრივი აქტით, სასწავლო კომპონენტის სრულად შესრულებისა და სამაგისტრო ნაშრომის წინასწარი დაცვის პროცედურის გავლის შემდეგ.

14. დაცვის პროცესზე და შედეგზე დგება შესაბამისი ოქმი. სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე მაგისტრანტი წარმოადგენს თემას ელექტრონული პრეზენტაციის ფორმით და აქცენტებს აკეთებს თემის აქტუალობაზე, სამეცნიერო სიახლეზე, მიზანსა და ამოცანებზე. ხაზი უნდა გაესვას კვლევის ობიექტებსა და მეთოდებს, უნდა წარმოჩინდეს მიღებული შედეგები და დასკვნები.

15. საჯარო დაცვაზე ნაშრომის შეფასებისას გამოიყენება შემდეგი კრიტერიუმები: კვლევის/პრობლემის აქტუალობა; მიღებული შედეგების მეცნიერული და პრაქტიკული ღირებულება; ნაშრომის აკადემიური დონე; პრეზენტაციის უნარისამაგისტრო ნაშრომი საჯარო დაცვის დასრულებისთანავე ფასდება კომისიის მიერ დახურულ სხდომაზე. *(ცვლილება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 05 აპრილის N20 დადგენილებით)*

16. სამაგისტრო ნაშრომი საჯარო დაცვის დასრულებისთანავე ფასდება კომისიის მიერ დახურულ სხდომაზე.

17. *(ამოღებულია ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 05 აპრილის N20 დადგენილებით).*

18. *(ამოღებულია ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 05 აპრილის N20 დადგენილებით).*

19. თუ სამაგისტრო ნაშრომი შეფასდა ამ მუხლის მე-11 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასებით - არადამაკმაყოფილებელი (insufficient) ან მაგისტრანტი არ გამოცხადდა საჯარო დაცვაზე, მას უფლება აქვს სამაგისტრო ნაშრომი წარადგინოს განმეორებით საჯარო დაცვაზე, დამატებითი საგამოცდო სესიის პერიოდში. *(ცვლილება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 05 აპრილის N20 დადგენილებით) (ცვლილება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 14 სექტემბრის N06-01/70 დადგენილებით)*

20. თუ სამაგისტრო ნაშრომი დამატებით გამოცდაზე კვლავ შეფასდა ამ მუხლის მე-11 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასებით - არადამაკმაყოფილებელი (insufficient), მაგისტრანტი უფლებამოსილია გადამუშავებული სამაგისტრო ნაშრომი წარადგინოს მომდევნო სემესტრში, ხოლო ამ მუხლის მე-11 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების - სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) მიღების შემთხვევაში, მაგისტრანტი კარგავს იგივე სამაგისტრო ნაშრომის წარდგენის უფლებას. *(ცვლილება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 05 აპრილის N20 დადგენილებით) (ცვლილება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 14 სექტემბრის N06-01/70 დადგენილებით)*

21. ფაკულტეტის საბჭოს შუამდგომლობითა და აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, სასწავლო კომპონენტის შესრულების შემთხვევაში, სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და დაცვის ვადა შეიძლება გახანგრძლივდეს ერთ წლამდე ვადით საპატიო მიზეზით (ბსუ-ს მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობა), რაც არ წარმოშობს სტუდენტის მხრიდან ბსუ-ს წინაშე ფინანსურ ვალდებულებას.

**მუხლი 16<sup>1</sup>. სასწავლო პროცესში პლაგიატის გამოვლინებისა და რეაგირების პროცედურა** *(დამატება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის N56 დადგენილებით)*

1. სასწავლო პროცესში (მიმდინარე, შუალედური ან/და დასკვნითი გამოცდების პერიოდი) სტუდენტის მხრიდან პლაგიატის ჩადენის შემთხვევაში შესაბამისი პერსონალი

(აკადემიური, სამეცნიერო ან/და მოწვეული) სტუდენტს უფორმებს შეფასებას „0“ და სამსახურებრივი ბარათით მიმართავს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს.

2. დარგობრივი დეპარტამენტის მიერ საბაკალავრო ან სამაგისტრო ნაშრომის წინასწარი განხილვის ეტაპზე პლაგიატის გამოვლინების შემთხვევაში ნაშრომი არ შეფასდება და შესაბამისი გადაწყვეტილება წარედგინება ფაკულტეტის დეკანს.

3. საბაკალავრო ან სამაგისტრო ნაშრომის რეცენზენტების მიერ ნაშრომის შეფასების ეტაპზე პლაგიატის გამოვლინების შემთხვევაში, ამის შესახებ მიეთითება რეცენზენტების დასკვნაში და წარედგინება დეკანს შემდგომი რეაგირებისათვის.

4. შესაბამისი ფაკულტეტის დეკანი ამ მუხლით გათვალისწინებული სამსახურებრივი ბარათის/დასკვნის მიღების შემთხვევაში ახორციელებს ბსუ-ს ეთიკის კოდექსით, შინაგანაწესითა და ბსუ-ს სხვა სამართლებრივი აქტებით დადგენილი ღონისძიებებს.

### **მუხლი 17. კვალიფიკაციის მინიჭების წესი**

1. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ვადის დასრულების შემდეგ, ფაკულტეტის დეკანი უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა პირადი საქმეების შესწავლას კომისიური წესით. კომისიის შემადგენლობაში უნდა შედიოდნენ: ფაკულტეტის დეკანი; ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი; შესაბამისი დარგობრივი დეპარტამენტის ხელმძღვანელი; კურიკულუმის კომიტეტის წევრ(ებ)ი; ფაკულტეტის დეკანის ოფისის სპეციალისტი. *(ცვლილება აკადემიური საბჭოს 2018 წლის 11 ოქტომბრის N114 დადგენილებით)*

2. კომისია დეტალურად შეისწავლის თითოეული სტუდენტის პირად საქმეს, სასწავლო პროცესის ელექტრონული სისტემის, საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრისა და ბსუ-ში გამოცემული აქტების გათვალისწინებით არკვევს, შესრულებული აქვს თუ არა სტუდენტს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნები და ამზადებს შესაბამის დასკვნას ფაკულტეტის საბჭოსათვის. პირად საქმეში ხარვეზის არსებობის შემთხვევაში, ფაკულტეტის დეკანის ოფისი უმოკლეს ვადაში უზრუნველყოფს მისი აღმოფხვრისათვის საჭირო ღონისძიებების გატარებას (თუკი ხარვეზი გამოწვეულია სტუდენტის მხრიდან - მას აძლევს გამოსწორებისათვის აუცილებელ ვადას და საჭირო რეკომენდაციებს, ხოლო საუნივერსიტეტო საქმისწარმოების ხარვეზის შემთხვევაში - ამზადებს შესაბამისი სამართლებრივი აქტის პროექტს/ახორციელებს შესაბამის ქმედებებს). *(ცვლილება აკადემიური საბჭოს 2018 წლის 11 ოქტომბრის N114 დადგენილებით)*

3. კომისიის დასკვნაში უნდა აღინიშნოს თითოეული კურსდამთავრებულისათვის მისანიჭებელი კვალიფიკაციისა და სპეციალობის დასახელება (ქართულ და ინგლისურ ენებზე).

4. პირს, რომელიც სრულად შეასრულებს საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნებს, ენიჭება შესაბამისი კვალიფიკაცია და მასზე გაცემა დიპლომი, სტანდარტული დანართით.

5. პირს, რომელმაც არ, ან ვერ დაასრულა საგანმანათლებლო პროგრამა, უწყდება სტუდენტის სტატუსი და ეძლევა სათანადო მოწმობა.

6. ფაკულტეტის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას:

*(ცვლილება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის N56 დადგენილებით)*

ა) სტუდენტისათვის აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე, რაც დაუყოვნებლივ აისახება საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში, ხოლო ბსუ-ს რექტორი გამოსცემს ბრძანებას ამ სტუდენტისათვის დიპლომის შესაბამისი სტანდარტული დანართით გაცემის შესახებ;

ბ) ბსუ-ს წესდებითა და ამ წესით გათვალისწინებულ შემთხვევებში პირისათვის ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას (გამოსცემს ბრძანებას) იღებს რექტორი.

7. საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომში/პროექტში აღმოჩენილი აკადემიური სიყალბის (პლაგიატის) დადასტურების შემთხვევაში, ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით გაბათილდება ამ სტუდენტისათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილება, რაც თავის მხრივ, მასზე დიპლომის გაცემის შესახებ ბსუ-ს რექტორის

ბრძანების გაუქმების საფუძველია. *(დამატება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის N56 დადგენილებით)*